

# მეცნიერება



მწყემსმან კეთილმან სული  
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის  
იონ. 10—11.

№ 22

1883—1908 წ.

30 ნოემბერი

## შ ი ნ ა ა რ ს ი.

**სალითერატურო განმარტება:** ქრისტე-მაცხოვარი, მღვ. ი. ლუკიანოვისა. — რა მიზნით განვიზრახეთ ყურნალ-გაზეთის გამოცემა? რ. დ. დ. ლ—ძისა. — ღამე, ლექსი ი. ბალუევისა. — ყურნალ-გაზეთებიდან. — ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მცენიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-წემოებაზე:** — საზოგადო ცნობანი სახარებაზე

### III ქრისტე-მაცხოვარი.

იუდელების პატარა ქალაქი ბეთლემი ძილს ეძლეოდა. სამხრეთის ვარსკვლავიანი ღამე ჩამოეშვა დედა მიწაზე და მოჰფინა მას თავისი ბნელი საფარველი. მხოლოდ მოშორებით ნათლად გამოჩანდა ანთებული ცეცხლის სინათლე. იქ მწყემსები უყარაუღებდნენ თავიანთ ცხვრის ჯოგს. სრული სიჩუმე იყო. მხოლოდ ხან და ხან მოისმოდა მემცხვარე ძაღლის ყეფა, ან ძილ-მორეული ცხვრის ბლავილი. უცებ მალლა ჰაერში გაისმა ტკბილი სასიამოვნო გალობა ანგელოზებისა, — გალობა მშვიდობისა, სიყვარულისა და მიტევებისა. ამ გარემოებაში ცხრაშვილი საუკუნის წინად დაიბადა ქრისტე ძე ღვთისა; ჩამოვიდა ქვეყნად ღვთის სიმაღლედ.

ღვთაებრივ ბავშვისათვის აღარ დარჩენილიყო ალაგი სახლებში. იმის პირველ თავშესაფარისად იყო გამოქვაბული, სადაც ცუდ ამიდში საქონელს შერეკავდნენ, ხოლო აკენად იყო ბაგა, სადაც საქმელს ჩაუდებდნენ ხოლმე საქონელს. ესლა ეს გამოქვაბული მდიდრულად არის მოწყობილი. იატაკი მარმარილოთია დაფენილი. თაღები აფარებულია აბრეშუმით. ქერიდგან ჩამოკიდებულია მთელი წყება ოქროსა და ვერცხლის კანდელებისა. გარნა, ეს გამოქვაბული ძვირფასია ქრისტიანეთათვის

არა თავისი მედიდურად მორთულობით, არამედ იმისთვის რომ აქ დაიბადა ქრისტე-მაცხოვარი, ჩამოვიდა ქვეყნად ღვთის სიმაღლედ. ეს სიმაღლედ არ საჭიროებს გარეგნულ მორთულობას. იგი მშვენიერია თავით თვისით. აი ამისთვის ძე ღვთისა მოვიდა ხალხში ღარიბის ქალწულ მარიამის შვილად, დაიბადა გამოქვაბულში და შემდეგში არ ჰქონდა ადგილი, სადაც შეეფარებინა თავი. ვინც ანგარების მუყვარული იყო, ან რაიმე ანგარიშის მიმდევარი, იგი ამაოდ მივიდოდა იესოსთან; ხოლო ვისთვისაც ძვირფასი იყო ჭეშმარიტება, იგი გაჰყვება ქრისტე-მაცხოვარს.

ახლად დაბადებულ მაცხოვართან მოვიდნენ თაყვანის-საცემლად პირველად ღარიბი მწყემსები, და შემდეგ — შორეული ქვეყნების მეცნიერნი, მოგენი, რომელთაც მოუტანეს ძღვენი — ოქრო, გუნდრუკი და მური.

მაცხოვარი გახდა 30 წლისა. იესო ქრისტემ ნათელს-ილო იორდანეში, და ამის შემდეგ ჩვენ ვხედავთ იმას უდაბნოში მარხვისა და ლოცვის ღვაწლში. გარშემო სრული სიჩუმე და უდაბიანობაა. სულ-ყველაფერი სიციხით გადამწვარია. ქრისტე-მაცხოვარი ღრმად ჩაფიქრებულია: უდაბნოს იქით ხალხის გულიც გადამწვარია ბოროტებითა და უსამართლობით, ისიც უნდა გააცოცხლოს. სული ბოროტებისა სკდილობს ხელი შეუ-

შალოს მაცხოვრის სახარების ქადაგებას ხალხში. ის უწინასწარმეტყველებს, რომ არ შეუძლიან ქრისტეს დაიმორჩილოს ხალხი სიყვარულისა და სიკეთის გავლენით, და ურჩევს სხვა საშუალებებს ხალხის მიზიდვისათვის; ჰპირდება მთელი ქვეყანა დაუმორჩილოს იესოს, ოღონდ-კი ის უჯერებდეს მას, სულსა ბოროტებისას, ემსახუროს და თაყვანი სცეს მას. მაცხოვარმა უპასუხა, რომ ჯერ-არს მარტო მხოლოდ ღვთის თაყვანის-ცემა და სამსახური. მაშინ თავს ანებებს მას ეშმაკი, და აი ანგელოზები მივიდნენ და მსახურებენ მას.

ყოველივე ურთი-ერთობა სიკეთისა და ბოროტებისა უარყოფილია. ბოროტებას და უსამართლოებას აქვს გამოცხადებული ომი სამკვდრო-სასიცოცხლოდ. ძე ღვთისა მოდის ქვეყანად, რომ გასრისოს გველის თავი. დედა-მიწაზედ ენთება ცისკარი ღვთის სიმაართლისა, დგება დღე სიკეთის დღესასწაულობისა.

იწყება ქადაგება ღვთის სასუფეველისა. იესო ქრისტე ჯადის სოფლებსა და ქალაქებში და ჰქადაგებს სახარებას სიმაართლისასა. ზღვის ნაპირი, ქვა ქასთან, მალლობი ადგილი მწვანედ მობიბინე მინდვრებისა, მარმარილოს კარი-ბჭე სოლომონის ტაძრისა, ღარიბად მოწყობილი ებრაელთა სალოცავი და ოთახი მეზვერისა და ფარისევლისა,— ყველა ეს ერთნაირად გამოსადეგია მისთვის ხალხის მოსაწოდებლად სინანულისა, ახალი კეთილის ცხოვრებისა და ღვთის სასუფეველის დამყარებისათვის ხალხთა შორის. იმის გარშემო მუდამ ხალხია შემოხვეული. სიმაართლის მაძიებელნი, სულითა და ხორციით შეწუხებულნი იმასთან ბლომად იკრიბებიან. იმისი სიტყვები, აღსავსე სიყვარულითა, მისი თვალები, სავსე თანაგრძნობით და შენდობით, აძლევენ შევებას ათასობით ცხოვრებიდგან შეწუხებულს ადამიანს. ხალხი კურთხევით იხსენიებს მას, უწოდებს წინასწარმეტყველად, თანაყვანის-სცემს ძედ ღვთისად. მაგრამ ამასთან ერთად მაცხოვრის მიმართ იზრდება სიძულვილი და შური მწიგნობართა და ფარისევლთა. ისინი თვალს ადევნებენ ყოველივე მის ნაბიჯს, იჭერენ თვითო-ეულ სიტყვას, ცილს სწამებენ მას; ბოლოს მიუხჯიან მას სიკვდილს.

მოახლოვდნენ ტანჯვის დღეები. კრავი მიდის დაკვლად. მედღესასწაულე იერუსალიმი ჰგზავნის ხალხს იმის მისაგებებლად. ისმის სიხარულის აღ-

ფრთოვანებული ყვირილი, ხელში უჭირავთ ბზის ტოტები, გზა დაფენილია ფერადი ტანისამოსით, მაგრამ იესო მწუხარებით, თვალეში ცრემლ-მთარეული უცქერის ხალხს.

საბრალო, ბნელი ხალხი! მაცხოვარი მიდის გამოიხსნას იგი უსამართლოების ბოროტებისაგან, ხალხი-კი ელის, რომ ის გამოიხსნის მას რომის ტყვეობის ბოროტებისაგან. ხალხს არ ესმის, რომ არა არის ისეთი საშინელი ტყვეობა, როგორც არის ტყვეობა ბოროტებისა და უსამართლოებისა.

და აი ეს ბოროტება და უსამართლოება ყველგან მოფენილია. იესო ჯვარცმულია გოლგოთაზე. მწიგნობარნი და ფარისევლნი დასცინიან მას. აღსრულდა. იგი უსულაოა. იმას სდებენ საფულავში, ქვას ადებენ და ჰბეჭდავენ მის საფლავს. ბოროტებამ გამოიჩინა მთელი თავისი ძალა; მაგრამ აქვე გამოჩნდა მთელი მისი უძლურება, გამოსცხადდა მთლად სიდიადე ღვთის სიმაართლისა: გოლგოთაზე ავაზაკმა ირწმუნა ქრისტე, და ასის-თავმა, დაინახა რა ყოველივე რაც მოხდა, სთქვა: „ქეშმარიტად ძე ღვთისა იყო ესე“ (მათ. 27,54.); ხოლო სამი დღის შემდეგ, ქრისტე აღსდგა მკვდრეთით. ქეშმარიტებამ სძლია ბოროტებას, განთავისუფლდა საფლავისაგან. ამისთვის მაცხოვარი ამბობს: იცანით ქეშმარიტება და იგი გაგხდით თქვენ თავისუფლებად.

IV

ღვთის სიმაართლი.

როდესაც შორიდან უყურებ საგანს ნისლში, ძნელად შეგიძლიან გარჩევა, რა არის შენ წინ; ისიც-კი არ იცი კაცი დგას, თუ ბოძი. ახლოს მიხვალ, დაინახავ რომ ის კაცია, მაგრამ რომელია, ვერა სცნობ. და მხოლოდ მაშინ, როცა სულ ახლო მიხვალ, გარკვევით დაინახავ, ვინც არის. ღვთის სიმაართლის გაგებაც ამნაირად ხდება. ჩვენ თვალ წინ არის მოდებული სქელი ნისლი ცხოვრების უსამართლოებისა; ამისთვის საჭიროა დიდხანს დაშტერებით ცქერა, რომ ამ ნისლში ნათლად გაარჩიო ღვთის ქეშმარიტება. ერთი და იგივე ქეშმარიტება ღვთისა ახლოდგან და შორიდგან შეიძლება ეჩვენოს კაცს სხვა და სხვანაირად. ქრისტე მაცხოვარი ნათლად ხედავდა ღვთის სიმაართლეს და სავსებით აჩვენებდა მას ახლოდგან ხალხს; მწიგნობარნი და ფარისევლნი-კი უცქერდნენ მას

შორიდგან, და ეგონათ მათ, რომ იესო ქრისტე ღვთის სიმაართლის მაგივრად სხვა რამეს ეუბნება ხალხს. ისინი ბრალს სდებდნენ მას, რომ ვითომ იგი არღვევს მოსეს სჯულს-და წინასწარმეტყველთა მოძღვრებას. იესომ უპასუხა მათ: „ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დახსნად ჰსჯულისა, გინა წინასწარმეტყველთა; არა მოვედ დახსნად, არამედ აღსრულებად.“ (მათ. 5,17).

დიდ უშველებელ მანძილზე არის ოქროს ქვიშა. ეს ოქროს-ნარევი ქვიშა პრტყელ ნაჭრებად ალაგია ერთი მეორეზე, და რაც ღრმად ჩაითხრება, მით მომეტებულია ოქრო მეტი ამოდის. თუ რომ ზემოთ სუფთა ქვიშაზე ერთი მისხალი ოქროსი ირჩევა, ქვეით ირჩევა ორი-სამი მისხალი, იმის ქვეით—ათი მისხალი. კიდევ ქვეით—ნახევარი გირვაქა, და ამნაირად თან და თან ემატება. როცა ოქროს ქვიშროვანზე მუშაობენ ზერა-ქვერედ, მაშინ ქვიშის მარტო ზემოთ მხარეს გამოაცლიან ოქროს და შემდეგ თავს მიანებებენ. ასე ექცეოდნენ მწიგნობარნიც ღვთის სიმაართლეს, რომელიც მოცემული იყო მოსეს სჯულში და წინასწარმეტყველთა მოძღვრებაში. იმათ ეჭირათ სჯულის მხოლოდ ზემონაპირი, გარეგანი მხარე და ეგონათ, რომ სულ-ყველაფერი ეს არის. მაცხოვარი ეუბნებოდა, რომ ეს შეცდომაა; უნდა უფრო ღრმად ჩაითხაროს, უნდა უფრო გულს-მოდგინედ და დაშტერებით ცქერა ღვთის სიმაართლეს. როდესაც ღამე ცას შეხედავ, პირველად ცოტა ვარკველავებს შეამჩნევ, მაგრამ აბა კარგად დააცქერდი და დაინახავ ვარსკვლავებს ათასობით, და თუ კიდევ უფრო გულს-მოდგინედ დააცქერდი, იმდენს დაინახავ, რომ განცვიფრდები. აი ყველა ეს ვარსკვლავები ღვთის სიმაართლისა მაცხოვარი სცდილობს აჩვენოს შორს ვერ დამნახველს ხალხს. ის მოვიდა არა იმისთვის რომ დაარღვიოს და გამოსცვალოს სიმაართლე, მოცემული მოსეს და წინასწარმეტყველების მიერ, არამედ რათა ახსნას მისი სიდიადე და ჩინებულობა, და სავსებით შეასრულოს იგი, მისი დარღვევა არ შეიძლება. იგი საუკუნოა. ქვეყანა დაინგრევა, სიმაართლე ღვთისა-კი ჰგიეს უკუნისამდე; და თუ ვინმე ცოტას მაინც დაარღვევს მას, იგი თვითონ არაფრად შესარაცხი იქნება, ხოლო ვინც ამ სიმაართლიდან ცოტას მაინც შეასრულებს და სხვასაც ასწავლის, იგი დიდად იქნება შერაცხული ზეციურ სასუფეველში. მაგრამ საბოლოოდ კმარება ამ ცოტასი არას გზით არ შეიძ-

ლება. მწიგნობრებსა და ფარისევლებს ჰქონდათ მეტად ნაკლები შეგნება ღვთის სიმაართლისა; იმ შეგნებაზე შეუძლებელი იყო ნამდვილი ღვთისნიერი ცხოვრების დაფუძნება. ქეშმარიტების შეგნება უფრო ღრმად არის საჭირო. „უკეთუ არა აღემატოს სიმაართლე თქუნი უფროს მწიგნობართა და ფარისევლთა, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა“—ეუბნება მაცხოვარი მოწაფეებს; და შემდეგ განაგრძელებს:

„გესმა, რამეთუ ითქვა პირველთა მათ მიმართ: არა კაც-ჰკლა; ხოლო რომელმან მოჰკლას, თანამდებ არს სასჯელისა. (გამოსვ. 20,13). ხოლო მე გეტყვი თქვენ, რამეთუ რომელი განუარისხნეს ძმასა თვისსა ცუდად, თანამდებ არს სასჯელისა; და რომელმან ჰრქვას ძმასა თვისსა: რაკა, თანამდებ არს იგი კრებულისაგან განსვლად; და რომელმან ჰრქვას ძმასა თვისსა: ცოფ, თანამდებ არს იგი გვენისა მას ცეცხლისასა.“ (მათ. 5,21—22).

ღვთის სიმაართლე ამბობს: „არა კაც-ჰკლა; ხოლო რომელმან მოკლას, თანამდებ არს სასჯელისა“. ეს მცნება იუდელებს ესმოდათ, როგორც დაცვა მოყვასის სიცოცხლისა, მისი გარეგნული კეთილ-დღეობისა. „გამოსვლათა“ წიგნში დაწვრილებით არას აღწერილი, რა სასჯელი მოყვასის მოყვასის სიცოცხლის მაზარალებელს. თუ ვინმე მოჰკლას მოყვასი, ნათქვამია იქ, ისიც თითონ უნდა სიკვდილით მოიკლას; მხოლოდ თუ მკვლელობა მოხდა უნებლიედ, დამნაშავეს შეუძლიან დაიმალოს თავშესაფარებელში. თუ მკვლელობა განგებ მოხდა, და მკვლელი შეეფარა საკურთხეველსა, „გამოიყვანეთ და მოჰკალთ იგი“. თუ ვინმემ ჩხუბში სცემა კაცს და ატკინა რამე, უნდა მისცეს მას მოსარჩენი და აგრეთვე—სამუშაო, რაც მოსცდა. თუ კაცმა კაცი დაასახიჩრა, ისიც ისე უნდა დასახიჩრდეს: „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ, დაწვა დაწვისა წილ, წყლულება წყლულებისა წილ, გვემულება გვემულებისა წილ.“ არა პირდაპირი მიზეზი სიკვდილისა ისიც სიკვდილით ისჯება. თუ ვინმეს ჰყავდა მრჩოლედი ხარი, და დაბმული არა ჰყავდა, იმან ერჩოლა კაცს და მოკლა, იმ ხარის პატრონიც მოიკლას.“ (გამოსვლათა 21 თავი). ასე დაწვრილებით ნაჩვენებია, რომ კაცი უნდა უფრო ხილდებოდეს თავის მოყვასის ხორციელ კეთილდღეობას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ კმარა. კაცი მარტო სხეულიდგან ხომ ამ შესდგება. იგი შეიძლება სიტყვით მოიწყოს უფრო მომეტებულიად,



მინამ ქვით, ხანჯლით ან მუშტით. ზრუნვა ადამიანის სხეულის სიმართლეზე, — ეს არის გარეგანი, ზემოთა პირი; უფრო ღრმათ უნდა ჩასვლა: დაცვა ზნეობრივი ღირსება ადამიანისა, პატივისცემა მისი პიროვნებისა. ამისთვის მაცხოვარი უმატებს: „ხოლო მე გეტყვი თქვენ, რომეთუ რომელი განურისხნეს ძმასა თვისსა ცუდად, თანამდებ-არს სასჯელისა; და რომელმან რქვას ძმასა თვისსა: რაკა, თანამდებ-არს იგი კრებულისაგან განსვლად; და რომელმან რქვას ძმასა თვისსა: ცოფ, თანამდებ-არს იგი გეენიასა მას ცეცხლისასა.“

აქ არის აღნიშნული სამნაირი შეცოდება წინააღმდეგ ღვთის სიმართლისა, და მათი შესაფერი სამნაირი სასჯელი: პირველად — პატარა; შემდეგ — მომეტებული. და ბოლოს ყველაზე დიდი. პირველი შეცოდება წინააღმდეგ მოყვასის პიროვნებისა არის დაუმსახურებელი დამცირება ადამიანისა, თუნდაც მარტო აზრითაც. თუ რომ მე მიმანია სხვა კაცი უსაბუთოდ ჩემზე ცუდად, დაუმსახურებელი ვუჯავრდები მას, ტყუილ-უბრალოდ ვეცხავ, — მაშინ თითონ მე დასასჯელი ვარ. როდესაც ვამცირებ სხვის პიროვნებას, თუნდაც სხვების ჩუმიად, მაშინ ვამცირებ ჩემ თავს.


„და რომელმან რქვას ძმასა თვისსა; „რაკა“, თანამდებ-არს იგი კრებულისაგან განსვლად.“ ეს უკვე მომეტებული სასჯელია. სიტყვა „რაკა“ არის სირიული, და ნიშნავს ქარაფშუტა კაცს; მაგრამ წმ. იოანე ოქროპირი, ღრმა-აზროვანი ამხსნელი საღმრთო წერილისა, შთამომავლობით თითონ სირიელი, ამბობს: „სიტყვა „რაკა“ არ შეადგენს დიდ შეურაცხყოფას; იგი ნიშნავს მხოლოდ ცოტადღენ შეურაცხებას, ან არ პატივისცემას.“ ჩვენებურად ეს გამოიხატება ადამიანის უგულუბელყოფაში: „ეი შენ!“ აქედან აზრი ასეთი გამოდის: მხოლოდ პირადათ შენ წინაშე დაამცირე სხვა ვინმე, ამითი უკვე შენი პიროვნებაც დაამცირე, და მიაყენე სასჯელი. თუ ეს შენი უგულუბელყოფა მოყვასის მიმართ სახალხოდ მოიმოქმედე, და ეს აგრძობინე მას შენის ამაყის სიტყვით „რაკა“, შენ თითონ დაიმცირე შენი თავი განცხადებულად და ღირსი ხარ საზოგადოების მიერ სასჯელისა.

„და რომელმან რქვას ძმასა თვისსა: „ცოფ“, თანამდებ-არს იგი გეენიასა მას ცეცხლისასა.“ გეენიად ცეცხლისა აქ იწოდება იერუსალიმის მახლობლად მდებარე ერთი ვაკე ადგილი, სახელად გენნომი. ამ ვაკე ადგილში წინათ, უღვთო მეფეების დროს, ებრაელები სწირავდნენ ხოლმე

მსხვერპლად ცოცხალ ბავშვებს კერპს მოლოხს. შემდეგში ეს კერპი დავიწყებულ იქმნა, მაგრამ საზარელი ხსოვნა დარჩა იმ ადგილის გენნომისა. ის გახდა ადგილად, სადაც ქალაქიდან ჰყრიდნენ ნაგავს და ყოველივე ვადაგდებულ ნივთს. რომ ყოველივე ეს არ დამბალიყო და ჰაერი არ გაფუჭებოდა, იმ ადგილს მუდამ ენთო ცეცხლი ნაგავის დასაწველად. აქედან გენნომს, ანუ გეენას დაერქვა ცეცხლისა. მაშინ სახარების სიტყვების აზრი გამოდის ასეთი: „თუ რომ ვინმე თავის მოყვასს აყენებს არამცთუ თავის თავზე დაბლა, არამედ აყენებს ყველა ხალხზე დაბლა, უწოდებს მას „ცოფიანად“, ერთჭურად ხდის მას უგონო საქონელთან, — იგი თავის თავსაც აყენებს ყველა ხალხზე დაბლა, ერთჭურად ხდის თავის თავს ზნეობრივ ნაგავთან, ხალხის ნაძირალბებთან, რომელთა ადგილიც ცეცხლის გენიაშია.“ ჩვენ აქ ვხედავთ, რომ მაცხოვარი, ხსნის-რა მცნებას „არაკაც-ჰკლა“, მოითხოვს არამცთუ ადამიანის სხეულის არსებობის დაცვას, არამედ უფრო მომეტებულად: პატივისცემას ადამიანის ზნეობრივ პიროვნებისას. კაცი კაცისათვის უნდა წარმოადგენდეს წმინდა რამეს. კაცი ცხოველი ტაძარია ღვთისა (1 კორინ. 3,16), იგი ცხოველი ხატია ღვთაებისა (შექ. 1,26).

როდესაც ჩვენ ხელმწიფის სასახლეში ვიმყოფებით, რანაირად ფრთხილად დავდივართ, რომ არას წამოგვრათ, არა გავაქუჭყიანოთ-რა! ხალხში ყოფნის დროს-კი, მუშტზე ვიყურებით, სილას ვხმარობთ, დაურიდებლად აქეთ-იქით ვერეკებით ვინც გზაზე დგას. მაშასადამე, არ გვესმის სიმართლე ღვთისა. სიტყვები ვიცით, ზებირად ვამბობთ, სხვებსაც ვუმეორებთ, მაგრამ სავსებით რას ნიშნავენ ისინი, ეს-კი არ გვესმის. სქელი ნისლია ჩვენ თვალ წინ, ძალიან შორს წავედით ჩვენ ჰეშმარიტებიდან: ნამდვილს მის გამოსახულებას ვერ-კი ვარჩევთ. საჭიროა განთავისუფლება ნისლის საფარისაგან, საჭიროა ახლოს მისვლა ღვთის სიმართლის სინათლესთან.

მღვ. იოანე ლუკიანოვი.



# რა მიზნით განვიზრახეთ ჟურნალ-გაზეთის გამოცემა?

ბაგრაძელებს\*)

ყოველ ჟურნალ-გაზეთის გამოცემას უნდა ჰქონდეს თავისი განსაზღვრული მიზანი და დანიშნულება. რედაქტორი და ყველა თანამშრომლები ამ გამოცხადებული მიზნით უნდა იყვნენ განმსჭვალულნი. მაგრამ, სამწუხაროდ, ცხოვრებაში სულ სხვას ვხედავთ. გაზეთის მიზანი და მიმართულება გამოცხადებულია სასიამოვნო, მაგრამ რედაქტორი და მედროშე გაზეთისა სულ სხვა მიზანს მისდევს და სხვა მიმართულებას აძლევს თავის ორგანოს. გამოცხადებული პროგრამა ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთებისა სრულებით წინააღმდეგია რედაქტორისა და თანამშრომლებისა. რისგან არის ესეთი უთანხმოება პერიოდულ გამოცემათა და მათ გამოცემ რედაქტორთა შორის? ეს არის რედაქტორების ბრალი. ას რედაქტორში მესამედი არ ასრულებს თავის გამოცხადებულ დაპირებას, წმიდა მიზნით არ კიდებს ხელს ჟურნალ-გაზეთის გამოცემას. უმრავლესობა რედაქტორებისა და გაზეთის გამოცემლებისა გამსჭვალულია ფულების შეძენით. უმეტეს ყურადღებას, ეხლა მაინც ვითომ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების გამოცხადების შემდეგ, გაზეთის ნომრების გასყიდვაზეა მიქცეული. თუ გაზეთის ნომრების გასყიდვისაგან საკმაო ფულებს ვერ აიღებს მაშინ გაზეთის გამოცემას ხელსაც არ მოკიდებს!..

განიზრახავს ზოგიერთი რედაქტორები ჟურნალ-გაზეთის გამოცემას და თვალების ასახვევად გამოჰიშვას უშველებელ პროგრამას და რას არ პირდება მკითხველებს! შექმნის ერთ უშველებელ ომს მხოლოდ გაზეთის ფურცლებზე: ამხილებს რაც ძალი და ღონე აქვს ორპირობას, ლაქუცობას თვითონ კი ამისთანა სამარცხვინო საქმეს ხშირად ჩადის. შექმნის ერთ უშველებელ ომს ეკსპროპრიატორების წინააღმდეგ, დაგმობს ამისთანა საზიზარ საქციელს, და თვითონ მეტ ეკსპროპრიატორობას ჩადის ისე ოსტატურად და მოხერხებით, რომ ეშმაკიც ვერაფერს გაუგებს

და ვერაფერს შეუტყუებს მას. ამხილებს თავის გაზეთში მათ ვისაც პატრიოტობა ჯერ-გამოუჩენია და ამხანაგებად ხდება ისეთ კაცებთან, რომელთა გულიდან სრულებით ამორეცხილია ყოველივე პატრიოტული შეგნება და გრძობა. ამაგებს თავის გაზეთში ცრუობას, შურს და მტრობას, ხოლო თვითონ ყველაზე მეტს ცრუობს, მეტს შურიანობს და მტერობას უწევს ყველას, რომელიც მას თავისგან არა სცემს და არ აქებს. აუგებს მწყემსთა რომ ქადაგებას არ ამბობენ და არ ემსახურებიან სახარებისამებრ თავიანთ სამწყსოს, თვითონ კი სამწყსოს გაურბის.

არსებობენ გაზეთები, რომელნიც ემსახურებიან არა ხალხს, არამედ მამონას. არიან ისეთი გაზეთებიც, რომელნიც კერძო კაცების და მოხელეების ინტერესებს ემსახურებიან და არა საზოგადოებას და ამისთვის დიდ საჩუქარს ღებულობენ. ამისთანა გაზეთებს ერთი თვე არ შეუძლია არსებობა, რომ ესრეთ წოდებული „სუბსიდი“ არ უბრუნებდეს სულს... დიად ასეთია ზოგიერთი რედაქტორების მიზანი და მიმართულება. მკითხველებს თვალებს უხვევენ პროგრამებით და გროშებს აგროვებენ...

ჩვენმა ორგანომ თავდაპირველადვე გამოაცხადა თავისი პროგრამა და ყოველთვის მაცადინობდა ამ პროგრამის ასრულებას. სალიტერატურო სწავლის გავრცელებასთან ჩვენს საცოდავ სამღვდელთაში უმთავრესად ყურადღება ვექონდა მიქცეული სახარების მსახურებაზე—და ქრისტიანულ ქემშარიტი რელიგიურ და ზნეობრივ სწავლის გავრცელებაზე. ამასთან არ დაგვიტოვებია უყურადღებოდ დღიური ცხოვრების კითხვებიც. სარწმუნოებაზე და ზნეობაზე ქადაგება და წერა იმ დროს როცა ხალხის რელიგიური გრძობა და ზნეობრივი მდგომარეობა ძლიერ დასუსტებულია, იმ დროს როცა ხალხში ისეთი უსუსური და უფიცნი „მეცნიერნი“ არიან როგორც გომართელი, კალამი და მათი კამპანია, რასაკვირველია, ძნელია. სიბნელით მოცულ საზოგადოებაში ამისთანა „ფილოსოფოსები“ დიდად ქებულნი არიან, თორემ იქ სადაც რიგიანად აღზრდილნი და განათლებულნი წევრნი საზოგადოების მრავლად მოიპოებიან იქ ეს ჩვენნი ბრძენნი შერცხვენილნი დარჩებოდენ, მაშინ საქიროც არაა იმათ წინააღმდეგ წერა და ლაპარაკი...

\*) იხ. „მწვემის“ № 19—20 1908 წ.

ჩვენ წინ და წინ გარგად ვგრძნობდით თუ რა მძიმე საქმეს ვკიდებდით ხელს. 1883 წლადმდე ერთი გაზეთი და ჟურნალი არსებობდა დიდის გაჭირვებით და სამღვდლოებასაც ორიოდ სიტყვის გამოთქმა ამ საერო წოდების გაზეთში შეეძლოთ. როცა უსაფუძვლო და უმართლო სტატიას წავიკითხავდით სარწმუნოების, ზნეობის და ეკლესიის შესახებ არასოდეს არ გაუშვებდით უპასუხოდ. ბოლოს რედაქციამ უარი გვითხრა პასუხის დაბეჭდვაზე თუმცა თავდაპირველად დაგვიბრდა. სასულიერო წოდებაში არ არსებობდა არავითარი ჟურნალ-გაზეთი და არც არავინ კიდებდა ხელს ჟურნალ-გაზეთის გამოცემას. ამ დროს განვიზრახეთ ჟურნალის გამოცემა. პირველადვე ჩვენს თხოვნაში ვაცხადებდით, რომ სავაჭარო სავალდებულო ჟურნალად არა გვსურს გავხადოთ ოდესმე ჩვენი ჟურნალი მეთქი. ფასიც მაინც და მაინც დიდი არ დაგვინიშნავს. მაგრამ არ იქნა. დამაბრკოლებელ მიზეზად ჩემის მხრით შეიქმნა ის, რომ ქალაქში არ ვცხოვრობდი.

—თუ გაზეთის გამოცემა გსურსთ ეცადეთ, რომ ქალაქში დაინიშნოთ მღვდლად, მითხრა ახლად მოსულმა მრისხანე ექსარხოლმა პავლემ, რომელსაც წარუდგინე ჩემი თხოვნა ყ-დ სამღვდლო გაბრიელის წარდგინებით.

—რა საჭიროა ქალაქის მღვდლობა, მოვახსენე ექსარხოლს? ქალაქის მღვდელი, რომ ვიყო მაშინ იქნება მეც ისეთი გულგრილი შევიქმნე როგორც სხვა ქალაქის მღვდლებია...

—ძლიერ გაგიჭირდებათ სოფლიდან ქალაქში სიარული ყოველთვის ჟურნალის გამოცემაზე და მიტომ მიმანია შეუძლებლად სოფლის მღვდლისათვის ჟურნალის გამოცემა, ბრძანა მათმა მეუფებმა. განა ასეთი ძნელია თქვენი გადასვლა ქალაქში?

—მე თვითონ არა მსურს ქალაქში გადასვლა, მოვახსენე, მე მინდა დაუმტკიცო ყველას, რომ თუ გულით კიდებს კაცი ხელს საქმეს ყველგან შეუძლია ემსახუროს საზოგადო საქმეს. დღეს მაინც რკინის გზის გახსნის შემდეგ ძლიერ საადვილოა დაბა სოფლებიდან ქალაქში მოგზაურობა. ბევრჯერ მქონდა შემთხვევა ქალაქში გადასულიყავი,

მაგრამ არა მსურს. ერთხელ ყ-დ სამღვდლო გაბრიელს განცხადებაც მივეცი, რომ კათედრის ტაძარში არა მსურს სამსახური მეთქი.

რამდენი დამამტკიცებელი საბუთი მოუყვანე კიდევ ვინ მოსთვლის და ძლივს დათანხმდა საქმის წარდგინებაზე სინოდში. მადლობა ღმერთს დიდის მიწერ-მოწერის შემდეგ მივიღეთ ნებართვა „მწყემსი“-ს გამოცემისა 1883 წელში. პირველი ნომერი „მწყემსი“-სა გამოვიდა ოკტომბრის თვეში. როგორ მიეგება სამღვდლოება და საზოგადოება ჩვენს ორგანოს შემდეგ ნომერში მოვახსენეთ მკითხველს.

რედ. დ. დ. ღ—ძე.



ღ ა მ ე.

ცა ვარსკვლოვანი,  
მუქ-მუქოვანი,  
კაცის გონებას,  
მის მოპაზრებას  
უდგენს საგანსა,  
დიდად მალალსა,  
ზე-გრძნობისსა  
და ცნობისსა:

—  
ედემის შვილი  
იყო ნათელი  
ვით გონებითა,  
ისე ნებითა:  
ვიდრე არ სცოდა,  
იბან იცოდა  
თვისი თავიცა,  
შემოქმედიცა.

—  
შემდეგ ცოდვისა,  
ბოროტებისა,  
კაცის გონება,  
სრული ბუნება,

წინეთ ნათელი,  
შეიქმნა ბნელი;  
მას შეჩხა მუქი,  
ისიცა მუქი...

—  
ადამის შვილნი,  
მარად ცოდვილნი,  
ამა მუქითა,  
ბნელი გონითა,  
ვლენან ქვეყნადა,  
უზრუნველადა:  
ღმერთს იფიწყებენ,  
განარისსებენ...

—  
ესა მოვლენა  
გვაგონებს ჩვენა,  
ვით საჭირაჲ,  
სანუგეშაჲ,  
ცოდვილ კაცისთვის,  
გონით ბნელისთვის,  
ზეტიდგან შეგლა,  
სადაც ნათელა.

ზეცის ნათელი,  
 მაცოცხლებელი,  
 ზნეობა მკვდარისა,  
 ცოდვილ კაცისა,  
 მოცემულია,  
 მოვლენილია  
 მაცხოვრებით,  
 ჯფთის განკარგებით,  
 —  
 ამის რწმუნება,  
 მშვიდად მიღება,  
 კაცის გონებას,  
 მის ბნელ ბუნებას  
 ცხადად ანათლებს  
 და აცხოველებს:  
 იხსნის ცოდვისგან,  
 ვით სიკვდილისგან.

კეთილპაზრობა  
 და გონიერობა  
 მოსდგამს კაცის შუქს,  
 თუმცაღა რომ მუქს:  
 მოსდგამს ნათობას,  
 აჩა გაქრობას...  
 —

ურწმუნოებით  
 და ბოროტებით  
 ეს შუქი ქრება,  
 შით სული კვდება, —  
 უბედურდება,  
 ოდეს შორდება  
 მაცხოვრებას,  
 ვით ნეტარებას.

ეს შევისმინათ  
 და ღრმად შევიგნოთ!..

ი. ბაქუჯი.

ეს ზენა გრძნობა,  
 სიმართლის ცნობა,

რის გვარეულობის პრინციპები, კომიტეტის წევრები, სამღვდელთა, მოხელეები და აფიერებულნი ფესტანტები მღეროდნენ ეროვნულ ჰიმნსა, წინ მიუძღოდათ სამხედრო მუსიკა. ყოველი ურნა მიჰქონდა თითო აქლემს. აქლემებს მისდევდა ყვავილებით შემკული ეტლი, რომლებშიაც იხსდნენ მორთული პატარა ქალები. ამათი ტანისამოსი გამოჰხატავდა თავისუფლებას, ძმობას და შრომას. პროცესია გაჩერდა სამხედრო და შინაგან სამინისტროების წინ, წარმოსთქვეს სიტყვები. ისროდნენ ყვავილებს, კონფეტს. ზოგიერთნი სტიროდნენ სიხარულისაგან. ძნელად წარმოიდგენს კაცი ამაზე დიდებულ და სასიამოვნო სანახავს. ხალხი ყველგან სიხარულითა და აღტაცებით ეგებებოდა პროცესიას.

**ტყუალი ცნობა.**

„პეტ. დებ. სააგენტოს“ ცნობა კიამილ-ფაშას გადადგომისა და ჰასან-ფემი-ფაშას დიდ ვეზირად დანიშვნის შესახებ ტყუილი გამოდგა. ჯერაც ისევ კიამილ-ფაშა პირველ მინისტრად. გაზეთების ცნობიდან არა სჩანს, რა თანამდებობა უჭირავს ამ ჟამად ჰასან ფემი-ფაშას. შინაგან საქმეთა მინისტრად-კი, ეტყობა, ნამდვილად მაკედონიის გენერალ ინსპექტორი, ცნობილი ხილმი-ფაშა დაუნიშნავთ და, როგორც გაზეთები იუწყებიან, კიამილ-ფაშა მალე გადადგება თავის თანამდებობიდან და მის ნაცვლად ხილმი-ფაშა დაინიშნება პირველ მინისტრად.

**მოკლული გენერალი.**

ამ დღეებში სტამბოლში მოკლული გენერალი იზმაილ-მალირ-ფაშა ყოფილა სულთნის ამაღლის გენერალი. მიზეზი მკვლელობისა ჯერაც ვერ გაუგიათ.

**დეპუტატების მოთხოვნა**

სტამბოლში შეკრებილი დეპუტატები გამოსთქვამენ სურვილს, რომ სულთანმა თითონ განსნას ოსმალეთის პირველი პარლამენტი დოღმაბაღჩეს სახლში. დეპუტატები თხოულობენ აგრეთვე, რომ ეს სასახლე სამუდამოდ დაუთმოს პარლამენტს სხდომებისთვის. ამბობენ, თუ სულთანი თითონ განსნის პარლამენტს, მაშინ სეფეს-სიტყვას წაიკითხავს მისი მემკვიდრე და ძმა რეზადიო.

**შურნალ-გაზეთებიდან**

**მ ს მ ა ლ მ თ ი.**

„პეტ. სააგენტო“ იუწყება 23 ნოემბრის თარიღით: დღემდე არჩეულია 220 დეპუტატები; მათ შორის 150 მუსულმანი, 33 ქრისტიანი და 2 ებრაელი.

„რუსკ. სლოვო“-ს სტამბოლელი კორესპონდენტი სწერს: 19 ნოემბერს დიდის ამბით გადაიტანეს ექვსი საარჩევნო ურნა საარჩევნო ნაწილებიდან ქალაქის გამგეობაში. პროცესია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 5,000-ზე მეტი სული, ჯერ უმაღლეს მთავრობის სადგომისკენ გაემართა, და მერე აქედან დაბრუნდა ქალაქის გამგეობისკენ. პროცესიაში მონაწილეობას იღებდნენ იმპერატორ-

**დაძმეულების დახმარება.**

ანატოლიაში (მცირე აზიაში) დიდი უიმში-  
ლობაა, თურმე. ამის გამო ოსმალეთის მთავრობამ  
ბრძანება გასცა, რომ ანატოლიაში რუსეთიდან  
შემოტანილ ხორბალსა და ფქვილს ბაჟი აღარ  
გადაჰხდესო.

**ფლოტის ვაჭაშობა.**

მარმარილოს ზღვაში (სტამბოლს ახლო) ოსმა-  
ლეთის მეზღვაურები ყოველ დღე ვარჯიშობენ და  
სროლას სწავლობენ. ესკადრა შემდგარი 5 გემისა  
და რამდენისამე ნაღმოსნისა და კონტრ-ნაღმოსნი-  
საგან, აპირობს სალონიკში წასვლას.

**ბოიკოტი.**

ავსტრიის მთავრობამ რამდენჯერმე სთხოვა  
ოსმალეთის სამინისტროს, ავსტრიულ საქონლის  
ბოიკოტი მოსხვეთო. ამაზე ოსმალეთის მთავრობას  
უპასუხნია, რომ ჩვენში ეხლა თავისუფალი წესები  
სუფევს და არავითარი უფლება არა გვაქვს, თავი-  
სუფალ ოსმალელ მოქალაქეთ ძალა დავატანოთ,  
რომ ავსტრიის საქონელი იყიდონ, ან ავსტრიის  
გემები დასცალონ. ეგ ხალხის ნებაა და ჩვენ ვე-  
რავითარ დახმარებას ვერ გაგიწევთ მაგ საქეშიო.

**ინგლისა და ოსმალეთი.**

ავსტრიას უნდოდა თურმე თავისი ფლოტი  
გაეგზავნა დემონსტრაციის მოსახდენად ოსმალეთის  
ზღვების ნაპირებზე, მაგრამ ინგლისს მაშინვე გამო-  
ეცხადებინა ავსტრიის მთავრობისთვის, რომ პი-  
რობის ძალით მოვალენი ვართ ოსმალეთის ნავთ-  
სადგურების ხელუხლებლობა დავიცვათო, და  
ავსტრიას ხელი აეღო თავის განზრახვაზე.

**საფრანგეთი და ოსმალეთი.**

ვაზეთები იუწყებიან, რომ ავსტრიამ სთხოვა  
საფრანგეთს შუამავლობა გამიწიე და ოსმალეთს  
ავსტრიულ საქონლის ბოიკოტი მოასპობინეთო.  
საფრანგეთის მთავრობას მტკიცე უარი შეეთვალა  
ამაზე ავსტრიისთვის: თავისუფალ ერს სრული უფ-  
ლება აქვს ისეთი ღონისძიება მიიღონ თავის ინტე-  
რესების დასაცველად, როგორც მას საჭიროდ მია-  
ჩნიაო.

**მოკლული იზმაილ-მადირ ფაშა.**

19 ნოემბერს მოკლული იზმაილ-მადირ ფაშა  
იყო სულთანის აღიუტანტი და ჯაშუში. მას თურმე  
სულთანთან მიჰქონდა ცნობები ჯარისა და ფლო-  
ტის შესახებ. სულთანის საიდუმლო კორესპონდენ-  
ციის გაგზავნა და შავ რაზმების მოსაწყობად ფუ-  
ლის გადაცემა მადირ-ფაშას ხელში ყოფილა. იგი  
ამას წინად წავიდა სალონიკში და იქ მოაწყო  
ჯაშუშობის საქმე. კონსტიტუციის გამოცხადების  
შემდეგ იგი დაუმორჩილეს სამხედრო სამინისტროს.  
19 ნოემბერს ერთმა ჯარის კაცმა ყალბი წერილი  
მიუტანა თურმე მადირ-ფაშას. წერილში ეწერა,  
მადირ-ფაშა სამხედრო სამინისტროში უნდა გამო-  
ცხადდესო. იზმაილ-ფაშა წავიდა და გზაში ერთ-  
ერთ მიყრუებულ ქუჩაში ვილაცა აფიცერმა შიგ  
გულში მოახვედრა ტყვია გენერალს, ხოლო მისი  
მოსამსახურე ხელსა და ფეხში დასქრა.

**უთანხმოება სულთანსა და ახალგაზდა ოსმალთა შორის.**

ახალ სამინისტროს შედგენის თაობაზე უთან-  
ხმოება მოუვიდათ სულთანსა და ახალგაზდა ოსმა-  
ლებს. ახალგაზდა ოსმალები არ დასთანხმდენ მინი-  
სტრების სიას, რომელიც შეადგინა სულთანმა და  
საკუთარი სია შეადგინეს. ჯერ არ შეთანხმებულან.

**ხალხის აღკვეცება ტრაპეზონში.**

ტრაპეზონში ხალხი აღელდა არჩეულ რეაქციო-  
ნერ-დებუტატების წინააღმდეგ და მათ გადადგომას  
თხოულობს. გაავრელეს პროკლამაციები მათ წინა-  
აღმდეგ. რეაქციონერი-დებუტატება თავიანთ მხრივ  
იმუქრებიან შეიარაღებულგლეხებს შემოვიყვანთ ქა-  
ლაქშიო.

**ს წ ა რ ს ე თ ი ს ა მ ბ ე ბ ი.**

**რევოლუცია ჰრფინციაში.**

„ტაიმს“-ს ატყობინებენ თეირანიდან 24 ნოემ-  
ბრის თარიღით, რომ მეშხედში სეროიზული მდგო-  
მარეობააო. მუშტიელების მეთაური, როგორც ის-  
მის, რევოლიუციონერებს მიემხრო. რევოლიუციო-  
ნერებმა გააქციეს მეციხოვნე ჯარი და ხელში ჩაი-  
გდეს მთავრობის რამდენიმე დაწესებულება. იუწყე-  
ბიან, რომ არეულობა დაწყო აგრეთვე გამადანსა,  
მეაიერსა, ქირმან-შაჰსა და თალიშიო.

### ახალი სახელმწიფო საბჭო

შაჰის მიერ ახლად დაწესებული სახელმწიფო საბჭო შესდგება 50 წევრისაგან, რომლებსაც ყველას შაჰი ნიშნავს. საბჭო ეხლანდელ თავის შედგენილობით იმოქმედებს ორს წელიწადს. თუ...? მას მინიჭებული აქვს როგორც საკანონმდებლო ძალა, ისე კანტროლის უფლება. სესხი და კონცესიები უნდა დაამტკიცოს შაჰმა.

### იაზნაიასა და შეერთებულ შტატების შეთანხმება

იაზნაიასა და შეერთებულ შტატებს შემდეგი შეთანხმების შეთანხმება დაუდგიათ ერთმანეთთან:

1. ორივე მთავრობა ხელს შეუწყობს თავიანთ სახელმწიფოების ვაჭრობის მშვიდობიან და თავისუფალ განვითარებას წყნარ ოკეანეში.

2. ორივე მთავრობა ეცდება დაიცვას ეხლანდელი მდგომარეობა წყნარ ოკეანეში და ვაჭრობისა და მრეწველობის უფლების თანასწორობა ჩინეთში.

3. ამის დაკვალოდ ორსავე მთავრობამ მტკიცედ გადასწყვიტეს პატივისცემით მოეპყრან ერთმანეთის სამფლობელოს წყნარ ოკეანეში.

4. მათ გადასწყვიტეს აგრეთვე დაიცვან ჩინეთის დამოუკიდებლობა და ხელუხლებლობა და ამასთანავე დაიცვან ყველა სახელმწიფოს თანასწორი უფლება ვაჭრობისა და მრეწველობისა ჩინეთის იმპერიაში.

5. თუ წყნარ ოკეანეში ეხლანდელ საქმეთა მდგომარეობას ან ვაჭრობის თანასწორობას რაიმე საფრთხე აღმოუჩნდება, ორივე მთავრობა მოილაპარაკებს და ერთმანეთის თანხმობით მიიღებს იმ ღონისძიებას, რომელსაც სასარგებლოდ ჩასთვლის.

### სამხედრო საწყობების აფეთქება ინდოეთში.

ინდოეთის უმთავრეს ქალ. კალკუტაში ამ დღეებში აფეთქეს სამხედრო საწყობები. აფეთქების დროს მოკლულ იქმნა 28 ჯარის კაცი, — ყველა ადგილობრივი მცხოვრებელია.

### კრედიტი საეკლესიო სკოლებისათვის

მე-17 სხდომაზე, 19 ნოემბერს, სათათბირომ განაგრძო კამათი საეკლესიო სამრევლო სკოლებზე 4.003.740 მანათის კრედიტის გადადების შესახებ თანახმად სინოდისა და მთავრობის პროექტისა.

გრძელი სიტყვა პროექტის დასაცველად წარმოეკ. ევლოგიმ. პროგრამის სივრცით, მასწავლებელთა მომზადებით და კეთილის მიმართულებით საეკლესიო სკოლები არ ჩამოუარდებიან საერო სკოლებსაო. საეკლესიო სკოლები არ მოსწონთ მართო იმ ელემენტებს, რომელთაც თავის დროშაზე დაუწერიათ ეკლესიასთან და სარწმუნოებასთან ბრძოლაო. შემდეგ ეპისკოპოზი ხოლმის ოლქის მაგალითით ამტკიცებს საეკლესიო სკოლის სარგებლობას. იქ, უცხო მოდგმის და სარწმუნოების ხალხში, საეკლესიო სკოლამ დაიცვა რუსის ხალხის ეროვნული და სარწმუნოებრივი თვითშეგნებაო. მასთან უნდა აღენიშნოო, რომ რუსული საეკლესიო სკოლა ვიწრო კლერიკალურ ფანატიზმისაგან არ არისო და მხოლოდ საერო განათლების საქმეს ემსახურებაო. საერო და საეკლესიო სკოლათა შორის ანტაგონიზმი არ არის: ორივენი ერთ დიად საქმეს ემსახურებიან და ორივეს თანაბარი დახმარება უნდა სახელმწიფოსაგანო (ტაშის ცემა მარჯვნივ და ცენტრში). პროექტის წინააღმდეგ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა კადეტმა მასლენიკოვმა, რომელიც ამტკიცებდა რომ საეკლესიო სკოლა ახალი ხილია რუსეთში; მას არავითარი კავშირი არა აქვს წარსულთან და ბიუროკრატიის მიერ იქმნა შემოდებული 1880 წლებში რეაქციის სამსახურისთვის; ეს სკოლა ანტისაზოგადოებრივია, რადგან უფრო პოლიტიკურ მიზანს ემსახურება, ვიდრე სალხის განათლების საქმესაო. ამიტომ კადეტები კრედიტის გადადების წინააღმდეგნი არიანო პოლონელი დიშმა იმ აზრისაა, რომ სახალხო სკოლა ერობათა ხელში უნდა იყოს, უთუოდ თავისუფალი ეკლესიის გავლენისაგან. თვითონ ეპ. ევლოგიმ დაგვიმტკიცა, რომ საეკლესიო სკოლა პოლიტიკას ემსახურება, როცა ხოლმის ოლქის მაგალითი მოიყვანაო.

ფიკაშინი სათათბიროს 53 გლეხის სახელით განურჩევლად პარტიებისა, აცხადებს, რომ გლეხი — დეპუტატები წინააღმდეგნი არიან საეკლესიო სკოლისა და მთავრობის კანონ-პროექტს მხარს არ დაუჭერენო.

კიდევ მცირე კამათის შემდეგ სათათბირო კენჭის ყრას შეუდგა. 179 ხმით წინააღმდეგ 120-სა სათათბირომ შეიწყნარა მთავრობის მოთხოვნა საეკლესიო სკოლებისათვის კრედიტის გადადების შესახებ. კანონპროექტის დაწვრილებით შემუშავება, ეპ. ველოგის წინადადების თანახმად, სათათბ. საერო განათლების კომისიას მიენდო.

**კრედიტი სასკოლო შენობათათვის.**

სათათბიროს წარედგინა 35 დეპუტატის წინადადება. რომ ხაზინიდან გადაიდოს ექვსი მილიონი მანათი საერო სახალხო სკოლებისათვის შენობათა ასაგებად. მომხსენებელი კოფაჯევსკი აღნიშნავს, რომ 1905 წლიდან 10.500 საერო სკოლას საკუთარი შენობა არა აქვს და შევიწროებულნი არიანო. თუ საყოველთაო სწავლება იქნა შემოღებული, მარტო შენობათა აგებას დასჭირდება 400 მილ. მანეთიო, ხოლო ამ ხანად სათათბირომ ექვსი მილ. მან. მაინც გადადოსო ამ საქმის დასაწყებად. საერო განათლ. მინისტრის ამხანაგი გოფრეიევსკი აცხადებს, რომ მთავრობამ უკვე შეიმუშავა პროექტი სასკოლო შენობათა ასაგებად ფონდის დასაარსებლად, რომელიც სულ ცოტა ხანში წარედგინება სათათბიროსაო. კოფაჯევსკი ამ აზრისაა, რომ სკოლის შენობათა აგების საქმის ყურისმგდებელი ერობა უნდა იქნესო. ბუჯატი და სხვა ორატორებიც იმ აზრს გამოსთქვამენ. რომ ამ დიად საქმისთვის 6 მილ. მან. იმდენად ცოტა ფულია, რომ სალაპარაკოდაც არ ღირს, ისე უნდა შევიწყნაროთ წინადადებაო.

სათათბირომ ერთხმად აღიარა სასურველად ექვსი მილიონის გადადების საჭიროება სასკოლო შენობათა ფონდისთვის და გადასცა პროექტი საერო განათლების კომისიას.

**ეროზა დონის ოლქში**

სათათბიროს წარედგინა 77 დეპუტატის წინადადება დონის ოლქში საერო თვითმართველობის დაწესების შესახებ. ეფრემოვი მხარს უჭერს წინადადებას და მოითხოვს, რომ იგი დაუყოვნებლივ გადაეცეს სათანადო კომისიას პროექტის შესამუშავებლად.

მთავრობის წარმომადგენელი ყაზახთა ჯარების მთავარ მმართველობის უფროსი აცხადებს, რომ სამხედრო სამინისტრო პრინციპიალურად მომხრეა დონის ოლქში ერობის შემოღებისა; არა აქვს-რა საწინააღმდეგო არც კავკასიის მთავრობის მიერ ეხლახან წარმოდგენილის პროექტისა ყუბანის და თერგის ოლქებშიაც ერობის დაწესების შესახებ; გარდა ამისა სამხედრო სამინისტრომ ასტრახანის, ორენბურგის და ურალის ყაზახთა ჯარების საოლქო მმართველობათაც დაავალა განიხილონ საკითხი მათ ოლქებში ერობის შემოღების შესახებო. მაგრამ ამ ოლქებში და განსაკუთრებით დონისაში ადგილობრივი პირობები სხვაა, ვიდრე შინა რუსეთში, და ამიტომ მთავრობა შეუდგა ერობის ახალ პროექტის შემუშავებას ამ ოლქებისათვისო.

მცირე კამათის შემდეგ სათათბირომ, ხმის უმრავლესობით, სასურველად აღიარა დონის ოლქში ერობის დაწესების წინადადების აღსრულება და თვითმმართველობის კომისიას დაავალა პროექტის შემუშავება.

**ეროზა ციმბირში.**

სათათბიროს წარედგინა ციმბირელ დეპუტატების წინადადება ციმბირში ერობის შემოღების შესახებ. კარაუჯევსკი მხარს უჭერს წინადადებას და მოითხოვს მის გადაცემას შესამუშავებლად სათანადო კომისიაში. მთავრობის წარმომადგენელი ჰშეკადსკი აცხადებს, რომ ციმბირის შესახებ ერთობ ძნელია საეროობო რეფორმის დაჩქარებაო: დიდ ტერიტორიაზე მრავალი სხვა და სხვა ხალხი ცხოვრობს, სხვა და სხვა კულტურისა და მომზადებისა, ბევრი განსაკუთრებული პირობაა იქაურ ცხოვრებაში და ყველა ამას ფრთხილი გათვალისწინება და შესწავლა უნდაო. ჰრედკაჯისი ს.-დ. მხრით მოითხოვს ადგილობრივ თვითმმართველობის სრულს გადემოკრატებას და ერობის შემოღებას ყველა განაპირა ქვეყნებში: კავკასიაში, ციმბირში, პოლონეთსა და ბალტიის მხარეში. ფონ-ანსკევი აცხადებს, რომ ოლქობრივობები საჭიროდ სთვლიან ციმბირის შესახებ



კანონპროექტის შემუშავებას სათათბიროს კომისიაში მთავრობის პროექტის ლოდინი საჭირო არ არისო. ფლადიმინოვი მემარჯვენეთა მხრით აცხადებს, მთავრობის პროექტს უნდა დაუცადოთო. ტიმოშკინი იმ აზრისაა, რომ ციმბირში ერობის დაწესება შეუძლებელია იმ დრომდე, სანამ მისი კოლონიზაციის საქმე არ დასრულდება, თორემ ციმბირის ერობა გადმოსახლებულთ მიწას აღარ დაანებებსო (ტაშის ცემა მარჯვენით).

მცირე კამათის შემდეგ სათათბირომ, მხოლოდ მემარჯვენეთა ხმების წინააღმდეგ, სასურველად სცნო ციმბირში ერობის დაწესება და სათანადო კომისიას დაავალა პროექტის შემუშავება.

**ერობა ასტრახანის გუბერნიაში.**

სათათბიროს წარედგინა წინადადება, რომ ასტრახანის გუბერნიაში ეხლავ იქმნას შემოდებული ერობა თანახმად 1890 წლის საერობო დებულებისა. ვინოგრადოვი მხარს უჭერს წინადადებას და მოითხოვს, რომ იგი დაუყოვნებლივ გადაეცეს განსახილველად და მოხსენების შესამუშავებლად თვითმმართველობის კომისიას. სათათბირომ უკამათოდ მიიღო წინადადება.

**ერობა არხანგელსკის გუბერნიაში.**

იმნაირივე წინადადება შეაქვთ სათათბიროში არხანგელსკის გუბერნიის შესახებ. მომხსენებელი მუჟოდიევი მხარს უჭერს წინადადებას და აცხადებს, რომ მთავრობის მოსაზრებით, ვითომ ეს გუბერნია ღარიბია და ერობა ვერ შეინახავს, საფუძველს მთკლებულია, რადგან გუბერნიას ეხლაც დიდი საერობო გადასახადი აქვს დაკისრებულიო. მცირე კამათის შემდეგ ეს წინადადებაც იქმნა შეწყნარებული.

**ახალი ამბები და შენიშვნები.**

\* \* ამ ჟამად საქართველოს საექსარხოსო სასულიერო სასწავლებლებში რევიზიაა. რევიზორი გამოგზავნილი პეტერბურგიდან, სინოდისაგან. როგორც გავიგეთ, რევიზიას, სხვათა შორის, კავშირი აქვს უმაღლესს სასულიერო მთავრობის მიერ წაიოყენებულ საკითხთან, სასულიერო სასწავლებლებში სწავლის საქმის რეორგანიზაციასთან.

\* \* ზუგდიდის მაზრის აბასთუმნის სოფლის საზოგადოებაში ამას წინად მოუკლავთ გლეხი ბერაშვილი და განუზრახავთ აზნაურის კ. გვათუას მოკვლა. ამის გამო, ქუთ. გენ.-გუბერნალორის განკარგულებით, სოფელში დაუნიშნიათ მთავრობის მამასახლისი მელიტონ მესხია და ოთხი სტრაჟნიკი. მამასახლისს მიეცემა თვეში ხუთი თუმანი. ეს ფული სოფლის საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს.

\* \* ამ დეებში სინოდის რევიზორს დაუთვალეირებია ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი. სასწავლებლის შენობა იმდენად ძველი გამოძგარა, რომ იქ სწავლის გაგრძელება, შენობის შეკეთებამდე, შეუძლებლად უცვნია რევიზორს. ამის გამო გურია-სამეგრელოს სამღვდელოების წარმომადგენლებმა შეამდგომლობა აღსძრეს, სესხად მიეცეთ ფული შენობის შესაკეთებლად.

\* \* მთავრობა და „ქეშმარიტი რუსება“. „ბირჟველ“-ს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ მთავრობას გადაუწყვეტია ყურადღება მიიქციოს „ქეშმარიტი რუსების“ მოქმედებას. საქმე იმაშია, რომ „კავშირის“ მოღვაწენი, განსაკუთრებით პროვინციაში, არავის და არაფერს ანგარიშს არ უწყვენ. მთელი წყება გუბერნატორების მოხსენებისა მოწმობენ ამას. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ არ იცის, ვის გაუგონოს: გუბერნატორებს, თუ „ქეშმარიტი რუსთა კავშირებს“. ამბობენ, მთავრობას გადაუწყვეტსა მხნე ზომები მიიღოს „კავშირის“ წინააღმდეგ.

\* \* ქალაქ მინსკში გაიჩნა ორი საქმე სალდათისა, რომელთაც ტუსალის მოკვლა და ტუსალქალის გაუპატიურება ჰბრალდებოდათ. საქმე ამნაირად ყოფილა: ამ სალდათებს საპატიმროში მიჭ.



ყავდათ სამი ტუსილი. მათ შორის ერთი ქალი. გზაში ტუსალი ქალი ტყეში შეუყვანიათ გაუუბატიურებიათ. ამ დროს ერთი ტუსალთაგანი გაქცეულა. სალდათებს რომ დავმალათ თავიანთი ბოროტ-მოქმედება, აუღიათ და მეორე ტუსალი მოუკლავთ, მთავრობისთვის კი უთქვამთ, რომ გაქცევის დროს მოვკალითო. ყველაფერი ეს შეურაცხყოფილმა ქალმა გაამხილა. სალდათებს სასამართლომ სამუდამო კატორგა გადაუწყვიტა.

\* \* \* ოდესის გენერალ-გუბერნატორი, ჩვენში ცნობილი ტოლმაჩევი, თანამდებოსას თავს ანებებს თურმე. ოდესაში, როგორც ვიცით, პოლიციამ ორი აფიცერი მოჰკლა. ამისთვის დიდი ყურადღება მიუქცევიათ. საქმის მდგომარეობის გამოსარკვევად ოდესაში უკვე გაიგზავნა პეტერბურგიდან გენერალი პანტელევი.

\* \* \* გრაფ პალენს უკვე დაუმთავრებია თურქესტანის მხარის რევიზია. ამბობენ, გრაფმა პალენმა აუარებელი ბოროტ მოქმედება აღმოაჩინაო. ბევრ მოხელეს სამართალში მისცემენ. გაზეთების სიტყვით, გრაფ პალენის მიერ აღმოჩენილი ბოროტ-მოქმედებანი სენატორ გარინის რევიზიის შედეგებს გადააქარბებსო. საზოგადოდ, ამ ბოლო დროს მთავრობა სხვა და სხვა ადგილას რევიზიას ახდენს. რევიზიის შედეგებს არაფერ მოელოდა. ყველგან მეჭრთამეობა, ბოროტ-მოქმედება და კანონის არაფრად ჩაგდებაა გაბატონებული.

\* \* \* ილია ჭავჭავაძის შეკვლეობის საქმე. 28 ნოემბერს, კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლო შეუდგა განხილვას დუშეთის მაზრის მცხოვრებთა—თედო ლაბაურისა, გიგოლა მოძღვრის შვილისა და გიორგი ხიზანაშვილის საქმისას. ამით ბრალდებთ 1906 წელს 30 აგვისტოს ილია ჭავჭავაძის თავდაცვმა საგურამოს გზაზე და მოკვლა თვით ჭავჭავაძისა და მისი მსახურის იაკობისა. სასამართლოს სხდომა დაიწყო დილის 11 ნახევარ საათზედ და გაგრძელდა საღამოს 6 საათამდე. გამოჰკითხეს 7—9 მოწამეს. სასამართლოში გარეშე ხალხიდან ორი კაცის მეტი არ დაესწრო, თუმცა ყველას შეუძლიან დასწრება. დაწვრილებით ანგარიშს ხვალ დავბეჭდავთ ჩვენს გაზეთი. („დროება“)

\* \* \* განსვენებულ პროფესორის ვ. პეტრიაშვილის ქრივმა ეკატერინე ყარამანის ასულმა წე-

რა-კითხვის საზოგადოების გამგეობას აცნობა ადენიდან, რომ იგი პროფესორის სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიკას სწირავს წ.-კითხვის საზოგადოებას.

\* \* \* „ბაკ. ეხოს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „ამ დღეებში სინოლში გაირჩევა საკითხი საქართველოს საექსპროსოს გაუქმების შესახებ.“

\* \* \* კიევში ამ ჟამად მონარქისტთა კრებაა. დეპუტატ პურიშკევიჩს, ბაქოს გაზეთების სიტყვით, შემდეგი დეპეშა გაუგზავნია ამ კრებისთვის: „ვევდრეთ ხელმწიფეს, გადაარჩინოს კავკასია, რომელიც ადგილობრივ მოხელეთა წყალობით, რუსეთს ხელიდგან ეცლება.“

\* \* \* 27 ნოემბერს საღამოთი ტფ. სამღვდლოების ერთ ჯგუფსაც ჰქონდა მოლაპარაკება. გამოსთქვეს, პარაკლის დაესწროს მთელი სამღვდლოება და იუბილიარს ადრე თან ერთად მიართონ მოოქრილ ყლიანი სახარება. ამ საქმის გადასაწყვეტად კიდევ მოხდება კრება.

\* \* \* ავანსები სათავად-აზნაურო გიმნაზიას. რად-18 ნოემბრისთვის დანიშნული საგანგებო კრება თავად-აზნაურობისა არ შესდგა და მაშასადამე, არცის საკითხი გადაწყდა, რომ საერთო საჭიროებისათვის ავანსად წადებული ფული დაიფაროს თავად-აზნაურთა თანხიდან, საადგილ-მამულო ბანკის წრეებში კვლავ აღიძრა საკითხი მიეცეს თუ არა მომავალ წლიდგან ქართულ გიმნაზიას ავანსები თავის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ამის გამო თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებ. აღმასრულებელმა თ-მა დ. ნიჟარაძემ აცნობა პეტერბურგში მყოფ თავმჯდომარეს გამგეობისას, რომ თავად-აზნაურობა უეჭველია დაჰფარავს ავანსებსაო.

\* \* \* შეწყობა. გურიაში, სოფ. სამებაში შეუწყურიათ ძველი-სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორად ნამყოფი არსენ წითლიძე. წითლიძე 1904 წლის შემდეგ იმალეობდა.



# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ- ცნებაზე.

## საზოგადო ცნობანი სახარებაზე.

ახალი აღთქმის საღვთო წერილის წიგნებში პირველი ადგილი უჭირავს სახარებას. სახარებაში აღწერილია შობა, ცხოვრება, სწავლა-მოძღვრება, სასწაულები, ვნება, სიკვდილი, მკვდრეთით აღდგომა და ზეცად ამაღლება უფლისა იესო ქრისტესი. სახარება ითვლება ახალი აღთქმის სჯულდებითი წიგნად.

სახარება შესდგება ოთხი წიგნისაგან; თვითეულს ამათგანსაც ეწოდება „სახარება“ ზედ დართვით დამწერის სახელისა, ე. ი. სახარება მათესაგან, სახარება მარკოზისაგან, სახარება ლუკასაგან და სახარება იოანესაგან (დაწერილი). სახარებას ქართულად ეწოდება კიდევ „ოთხთავი“, როგორც შედგენილს ოთხი წიგნისაგან ანუ თავისგან.

გარდა იმ ოთხი სახარებისა, რომელიც ეხლა მიღებულია საქრისტიანო ეკკლესიაში სახმარებლად, ქრისტიანობის ისტორიის პირველს საუკუნეებში გაჩნდნენ სხვა სახარებებიც, მაგალითად, სახარება ნიკოდიმოსისგან, სახარება პეტრესგან, სახარება მეგვიპტელთაგან, მაგრამ საქრისტიანო ეკკლესიამ ქრისტიანეთათვის სავალდებულო სახმარებლად სცნო მხოლოდ ის ოთხი სახარება, რომლებიც დღეს ჩვენ გვიჭირავს, ხოლო დანარჩენი სახარებები უარპყო როგორც ყალბები.

შემდეგ სული წმიდის მოსვლისა, მოციქულებმა იწყეს ქადაგება მაცხოვრის სჯულისა ჯერ იერუსალიმში, მერე პალესტინაში და ბოლოს მთელს ქვეყანაზედაც. ახალს მოძღვრებას ისინი ქადაგებდნენ ზებირად, როგორც თვით მაცხოვარი;

შემდეგში-კი, — როცა ქრისტეს მორწმუნეთა რიცხვი გამრავლდა, გაჩნდნენ ზოგიერთი ცრუმოდღვარნი, რომლებიც რყვნიდნენ მაცხოვრის სჯულს და მოძღვრებას, მოციქულებიც ერთი ადგილიდამ მეორეში გადადიოდნენ საქადაგებლად. — საჭირო შეიქმნა აღწერა მათგან ქადაგებული მაცხოვრის მოძღვრებისა სანუგეშოთ და სასწავლებლად მორწმუნეთა და სამხილებლად ცრუ მოძღვართა. ეს იყო მიზეზი სახარების დაწერისა. — სახარების დამწერთ მოციქულებს ეწოდებათ მახარებლები, რადგანაც მათ მიერ აღწერილი ამბავი კაცთა ცხოვრებისა სასიხარულოა ყველასათვის.

## სახარება მათესი.

წმიდა მახარებლები მათე, მოციქულად წოდებამდე, იყო მეზვერე ანუ გადასახადის ამკრები. იესომ მოუწოდა მას მოციქულად და ამ დროიდან ის შეიქმნა ერთგული და განუშორებელი მოციქული მისი შემდეგ სული წმიდის მოფენისა, მათე მახარებელი ჰქადაგებდ ქრისტეს მოძღვრებას იერუსალიმში, პალესტინაში, მერე კი წავიდა საქადაგებლად ეთიოპიაში და თვისგან ქადაგებული სახარება დასწერა ებრაულს ენაზე პალესტინელ ურიებისათვის. მათე მახარებელი ეწამა ეთიოპიაში (აფრიკაში).

დანამდვილებით არ შეიძლება აღნიშნულ იქნას დრო პირველ სახარების დაწერისა; წმ. ირინეოს ლიონის ეპისკოპოსი ამბობს, რომ როცა პეტრე და პავლე მოციქულები რომში ჰქადაგებდნენ და აფუძნებდნენ ეკკლესიას, მათემ მაშინ დასწერა სახარებაო. აქედამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ პირველი სახარება დაწერილია 61 და 67 წლებს შუა, რადგანაც სწორეთ ამ დროს მოღვაწეობდნენ რომში წმ. მოციქულები პეტრე და პავლე. ყოველს ექვს გარეშეა, რომ ეს სახარება იერუსალიმის აოხრებამდე დაწერილი, რადგანაც მასში არ არის არაფრით მოხსენებული ეს აოხრება.

განსაკუთრებით ხსნათა და შინაარსი მათეს სახარებისა.

რადგანაც მათე მახარებელმა დასწერა სახარება ურიათაგან მოქცეულ ქრისტიანეთათვის, ამიტომ ეს სახარება იწყება მაცხოვრის ნათესაობის აღწერით, დასამტკიცებლად იმისა, რომ იესო არის ნამდვილად შთამომავალი აბრამისა და დავითისა და ქეშმარიტი მესსია. ურიათა დასარწმუნებლად,

რომ იესო არის ქრისტე მესია, მახარობელს მოჰყავს ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებანი მესიაზე, რომლებიც აღსრულდნენ ქრისტეზე, მაგალითად, წინასწარმეტყველებანი შესახებ იესოს შობისა 1), ეგვიპტეში გახიზვნისა 2), იროდი მეფისგან ყრმათა მოწყვეტისა, 3), ეგვიპტიდან დაბრუნებისა 4), იოანე წინამორბედის მოსვლისა ქრისტეს უწინარეს 5), ნაზარეთის დატოვებისა 6), სნეულთა განკურნებისა 7), მეზვერეებთან და ცოდვილებთან ურთიერთობისა 8), იონა წინასწარმეტყველის სასწაულისა 9), იგავით თხრობისა, 10), იერუსალიმში დიდებით შესვლისა, 11), ტაძრიდან მოვაკრეთა გამოდევნისა 12), იერუსალიმში შესვლის ჟამს ყრმათაგან ქებისა და დიდებისა 13), შესახებ მისა, რომ ქრისტე არის ლოდი საკიდური, რომელი შეურაცხვეს მაშენებელთა 14), რომ იგი არის ქრისტე და დავითისა 15), შესახებ მოციქულთა განბნევისა 16), და სხვა.— ურიებს სწამდათ, რომ ძველი აღთქმის ყოველი წინასწარმეტყველება მესიის შესახებ უნდა ასრულებულიყო მაზედ და აი მათე მახარობელიც გვაჩვენებს, რომ წინასწარმეტყველებანი ასრულდნენ იესოზედ და მაშასადამე ისა ყოფილა ქრისტე მესია.

მაცხოვრის მოძღვრება მაუეს სახარებაში აღწერილია, მეტნაწილად, შედარებით ძველი აღთქმის სწავლა-მოძღვრებასთან და სჯულთან, რომლის შესასრულებლადაც მოივლინა ქრისტე 1). მათე მახარობელს აქვს მოყვანილი იესოს სიტყვები ფარისევლთა და მწიგნობართა სამხილებლად; ეს ფარისევლები ითვლებოდნენ მოსეს სჯულის მცველებად, მაგრამ თვითონ არ ასრულებდნენ მას; 2); მათე მახარობელსავე აქვს მოყვანილი იესოს იგავები (16 იგავი), რომლებშიაც დასურათებულია

1) მათე 1,22-ისაია 7,14; მ. 2,5—6-მალ. 5,1; 2) 2,13—15-ისე 11,2; 3) 2,16—18-იერემია 31,15; 4) 2,21-ისაია 15,1—2; 5) 3,1—3-ისაია 40,3;11,7—15-მალ. 3,1. 6) 4,13—16-ის 9,1—2; 7) 8,16—17-ის 53,4; 8) 9,11—13-ისე 6,6; 9) 12,38—40-იონა 2,1 თ. 10) 13,34—35-ფს. 77,2; 11) 21,4—5-ის. 62,11 და ზაქ. 9,9; 12) 21,12—13-ის. 56,7 და იერემია 7,11; 13) 21,15—16-ფს. 8,3. 14) 21,42-ფს. 117,22—23; 15) 22,42—44-ფს. 109.1; 16) 26,31-ზაქ. 13,7.

1» თთ. 5—7; 23—24; 2» 23—24 თთ.

სასუფეველი ცათა, და რომლებიც მოითხოვენ უქველად იესოსადმი საწმუნებას, როგორც მესიისა, ეს ფრიად საჭირო იყო ურიათათვის, რომლებიც მხოლოდ თავიანთ საქმეებს აწერდნენ მნიშვნელობას და ესევოდნენ მათ; ურიებს მესია მხოლოდ თავისი მხსნელი ეგონათ, მათე მახარობელი კი არწმუნებთ მათ, რომ წარმართთაგან მოქცეულებსაც აქვთ უფლება იესოს სასუფეველის წევრობისა. 3). ყურადღების ღირსია ისიც რომ მათე მახარობელი, როცა მოგვეთხრობს ურიათა რომელიმე დაწესებულებაზე ანუ ზნე ჩვეულებაზე, არ განმარტებს მათ, როგორც ლუკა და მარკოზ მახარობლები, რადგანაც ეს ურიათათვის არ იყო საჭირო, ურიებმა განუმარტებლადაც იცოდნენ აზრი და მნიშვნელობა თავიანთ დაწესებულებათა.

მათეს სახარება შესდგება 28 თავისაგან. მათში მოთხრობილია ამბავი მაცხოვრის შობისა (თთ. 1—2), მისი ღვაწლი კაცობრიობისათვის (თ. 3—4); აღწერილია მოქმედება იესოსი გალილიაში (თთ. 5—25) და ისტორია მაცხოვრის სიკვდილისა (26—7) და აღდგომისა (თ. 28).

**სახარება მარკოზისა.**

მარკოზ მახარობელი, დამწერი მეორე სახარებისა, იყო თანამგზავრი წმ. პეტრე მოციქულისა; ეს მოციქული მას უწოდებს თავის ძედ 4), რასაკვირველია ქრისტეს მიერ, სულიერად და არა ხორციელად; ეს წმ. მარკოზი უწინ იყო თანამშრომელი პავლე და ბარნაბა მოციქულთა მათს პირველს მოგზაურობაში წარმართთა შორის 5); ტომით მათე მახარობელი იყო ურია იერუსალიმელი, საცა მისს დედას მარიამს ჰქონდა საკუთარი სახლი, 1) და ახლო ენათესავებოდა ბარნაბა მოციქულს, 2). პავლე მოციქულისგან განშორების შემდეგ „საქმე მოციქულთა“ აღარ იხსენებს მარკოზს; ალბათ იმიტომ რომ ამ დროიდან მან პეტრე მოციქულთან დაიწყო შრომა, ხოლო ამ უკანასკნელის მოღვაწეობის შესახებ აღარაფერია მოთხრობილი საქმე მოციქულთაში, თანახმად გარდმოცემისა, შემდეგ პეტრე და პავლე მოციქულთა წამებისა რომში. მარკოზ მახარობელი ქადაგებდა ალექსანდრიაში, აქ იყო ეპისკოპოზათ და ეწამა კიდევ.

3» თ. 1,5; 2; 4,15—16; 2 4,25; 8,11—12; 25,31—32. 28,18—20; 4» 1 პეტ. 5,13; 5» საქმე მოც. 15,35—40.

როგორც მოწმობს გარდმოცემა, რომში მცხოვრებ ქრისტიანებმა სთხოვეს მარკოზ მახარებელს დაეწერა მათთვის პეტრე მოციქულის ქადაგება; მარკოზმაც აღასრულა ეს თხოვნა; მოციქულმა პეტრემ განიხილა მარკოზის დაწერილი სახარება, საჯაროდ მოიწონა იგი, დაამტკიცა თავისი სახელით და ნება დართო მისი კითხვისა და ხმარებისა ეკლესიაში „აი ამ აწერილს (მარკოზის მიერ) ეწოდება სახარება მარკოზისა“ დასძენს წმ. კლიმენტი. ამასვე ამტკიცებენ და ამოწმებენ სხვა წმიდა მამანიც.—ამ რიგად მეორე სახარება მარკოზისაგან დაწერილია წმ. პეტრე მოციქულის გავლენით, ნებართვით და მონაწილეობით, რომელთა (წარმართაგან მოქცეულ) ქრისტიანეთათვის, რომშივე, არა უგვიანეს 67 ან. 68 წლისა ქრისტეს შობის შემდეგ ბერძნულს ენაზე.

ხსათა და შინაწილი მარკოზის სახარებისა.

სახარება მარკოზისა დაწერილია, როგორც მოვიხსენეთ, წარმართობიდან მოქცეულ ქრისტიანეთათვის; ამიტომ მახარებელი სახავს იესოს, როგორც ღვთის ძეს, მოვლინებულს ღვთისაგან კაცთა ცნობებისათვის და გამოხსნისათვის ცოდვისაგან. ამის გამო ამ სახარებაში თითქმის სრულად არ არის მოხსენებული ძველი აღთქმას წინასწარმეტყველებანი მესიის შესახებ, არ არის მოხსენებული არც იესოს შთამომავლობა, არც შედარებულია მისი სწავლა მოძღვრება ძველი აღთქმის სწავლა მოძღვრებასთან, არც ფარისეველთა და სჯულის მეცნიერთა მხილება იპოვება ამ სახარებაში; ყოველივე ეს არ იყო დიდად საჭირო წარმართობიდან ქრისტიანობაზე მოქცეულთათვის დასარწმუნებლად ქრისტეს ღვთაებაზე; ამაზე ისინი უფრო დარწმუნდებოდნენ სასწაულებით და აი სწორედ ამიტომაც, რომ მეორე სახარებაში მცირე ადგილი აქვს დათმობილი იესოს სწავლა მოძღვრებას და და მეტნაწილად მოთხრობილია მისი სასწაულები; ამ სახარებაში განმარტებულია ყველა ჩვეულება და დაწესებულება ურიათა, რომელიც კი მოხსენებულია; ახსნა და განმარტება ამათი საჭირო იყო რომაელთათვის, რომლებმაც არ იცოდნენ ურიათა დაწესებულება—ჩვეულებანი.—

რადგანაც ეს სახარება დაწერილია წმ. პეტრე მოციქულის მონაწილეობით და გავლენით, ამიტომ აქ უფრო ხშირად, ვიდრე სხვა სახარებებში,

იხსენება ეს მოციქული საერთო მოთხრობებში მაგ. მოთხრობაში შესახებ პეტრეს სიღვდრის განკურნებისა 1), უნაყოფო ღელვის განხმობისა 2), ზეთის ხილის მთაზე საუბრისა 3), გეთსამანიის ბაღში დამე ლოცვისა საიდუმლო სერობის შემდეგ 4), შესახებ საუბრისა მენელსაცხებელ ღელებთან მკვდრეთით აღდგომილ ქრისტესი 5); ყურადღების ღირსია ისიც, რომ ამ სახარებაში გამოტოვებულია მოწონებითი სიტყვები ქრისტესი პეტრე მოციქულისადმი მისი აღსარების გამო 6), და მოხსენებულია იმავე წამს აღმოჩენილი სისუსტე პეტრე მოციქულის სარწმუნოებისა 7); მარკოზის სახარებაში ამბავი პეტრე მოციქულისგან იესოს უარყოფისა მოთხრობილია სხვა სახარებებზე უფრო დაწვრილებით, რის გამოც უფრო დიდდება და ზვიადდება ბრალი ამ მოციქულისა 8). იგივე მახარებელი მხოლოდ პეტრეს აკუთვნებს იესოს საყვებულს გეთსამანიის მტილში ძილის გამო 9), თუმცა ეს ყვედრი შემდეგ განზავებულია ღვთაებრივი მოწყალების მოვლენით 10).

განსაკუთრებით თვისება ამ სახარებისა ისაა, რომ აქ მოკლედ, მკაფიოდ, ცხადად და ნათლად არის მოთხრობილი ამბები.

სახარება მარკოზის, სხვებთან შედარებით, მოკლეა. შეიცავს 16 თავს. პირველად მოთხრობილია ამბები იოანე წინამორბედის, ნათლის ღების და ეშმაკისგან გამოცდის შესახებ (თ. 1,1—13), შემდეგ მოთხრობილია ღვაწლი იესოსი გალილიაში (1,13—13 თ.) და ბოლოს ისტორია მაცხოვრის ენებათა, სიკვდილისა, მკვდრეთით აღდგომისა და ზეცად ამაღლებისა.

**სახარება ლუკასი.**

მესამე სახარების დამწერი არის ლუკა მახარებელი. ლუკა იყო ანტიოქიელი, შობილი წარმართ მშობელთაგან; მისი სახარებიდან სჩანს, რომ მან კარგად იცოდა ურიათა ზნე ჩვეულებანი და იცნობდა მათს დაწესებულებებს; ამიტომ ფიქრობენ, რომ გაქრისტიანებამდე ის იყო შწირი, ანუ ახლად მოქცეული ურიათა სჯულზე; იგი თან ახლდა პაველ მოციქულს ქადაგების დროს და იყო მკურნა-

1» 1;36, ლუკა. 4,42; 2» 11,21, მათე. 21,20; 3» 13,3, მათე 24,3 და ლუკა 21,7; 4» 14,37, ლუკა 22,45; 5» 16,7, მათე 28,7—10; 6» 8,29—30, მათე 16,10—19; 7» 8,31—33; 8» 14,30—68; 9» 14,337; 10» 16,7.

ლი 11); საეკლესიო გადმოცემა კიდევ გვაუწყებს, რომ ლუკა იყო მხატვარი და პირველად მან დახატა სახენი მაცხოვრისა, ყ-დ წმ და ღვთის მშობლისა და მოციქულთა. გარდა სახარებისა, ლუკა მოციქულმა დასწერა კიდევ წიგნი „საქმე მოციქულთა“, რომელშიც მოთხრობილია ამბები სული წმიდის მოსვლისა. მოციქულთა ქადაგებისა და ეკლესიის დაარსებისა.

როგორც თვით სახარებიდამ სჩანს, იგი დაწერილია ვინმე თეოფილესთვის; ვინ იყო ეს თეოფილე დანამდვილებით არ არის ცნობილი. სახარება დაწერილია რომში, ბერძნულს ენაზე არა უგვიანეს 63 ან 64 წლების ქრისტეს შობის მერე.

**სასიათი და შინაარსი ლუკას სახარებისა.**

თვით მახარობელი ამბობს, რომ იგი შეუდგა ზირეულითგან უოჯლითა ჭეშმარიტებითა შემდგომითი შემდგომად აღწეროს ის, რაც გარდმოგვცეს იმათ, ვინც იყვნენ თვითმხილველ და მსახურ იესო მაცხოვრისა; მართლაც და, ლუკა მახარობელი, შედარებით სხვებთან, უფრო ვრცლად და დაწვრილებით მოგვითხრობს ახალი აღთქმის ამბებს.


მისი სახარება იწყება მოთხრობით იოანნე წინამორბედის შობის ამბითა. მასვე აქვს ვრცლად მოთხრობილი ამბავი იესოს შობისა, ბავშვობისა და სიყრმისა 1), რაზედაც სხვა მახარობლები ან სულ არ მოგვითხრობენ, ან მოგვითხრობენ მოკლედ; ამ სახარებაში უფრო გარკვევით არის ნაჩვენები დრო და ადგილი აღწერილი ამბებისა; ყველა ამბები მოთხრობილია ერთმანეთთან დაკავშირებულად, თან და თანობით და კარგი ენით.

სახარება ლუკასი დაწერილია წმ პავლე მოციქულის გავლენით; ამიტომ დედა აზრი ამ სახარებისა იგივეა, რაც პავლე მოციქულის ქადაგებისა, ე. ი. ის, რომ ცხონება და სასუფეველი ცათა დანიშნულია ღვთისგან არა მხოლოდ ურიათა,

არამედ წარმართთათვისაც და რომ კაცი განმართლები წინაშე ღვთისა არა მხოლოდ მოსეს სჯულის შესრულებით, არამედ ღვთის მადლითაც სარწმუნოებისა და სინანულის მიერ. ამის გამო იესოს ნათესაობა ლუკა მახარებელს მიჰყავს არა მარტო აბრამამდის, როგორც მათეს, არამედ ადაამამდის და თვით ღმერთამდისაც 2); მხოლოდ ლუკა მახარებელს აქვს დაცული მაცხოვრის სიტყვები ილია წინასწარმეტყველის მოვლინების შესახებ სარწმუნოებრივი ქვეყნით და ნემან ასურის განკურნების შესახებ ელისე წინასწარმეტყველის ჟამს 3); რათა ამითი აჩვენოს, რომ წარმართთაც უღვეთ წილი სასუფეველში; მხოლოდ მესამე სახარებაშია დაცული მოთხრობანი, კეთროვნების განკურნებაზე, რომელთაგან ერთი იყო სამარიტელი 4), მეზვერეთა მთავრის ზაქეს მოქცევაზე 5), ჯვარცმული ავაზაკის სინანულზე 6), იგავები მოწყალე სამარიტელზე 1), უძღებ შვილზე 2), მოხერხებულ მმართველზე 3), მდიდარზე და ლაზარზე 4), ყურადღების ღირსია ისიც, რომ ლუკა მახარობელი, თანამოგზაური და თანამშრომელი წმ. პავლე მოციქულისა მოგვითხრობს საიდუმლო ზიარების დაწესებაზე ისევე, როგორც პავლე მოციქული, 5), და მახარობლებში მხოლოდ მას აქვს მოხსენებული როგორც პავლე მოციქულს მკვდრეთით აღდგომილი ქრისტეს გამოცხადება პეტრე მოციქულს 6),

2) 3, 23-38; 3, 4, 25-27; 4, 17, 12-19; 5, თ. 19; 6, 23, 39-43.

1) თ. 10; 2) თ. 15, 11 და 13. 3) 16, 1-15; 4) თ. 15, 16 და ბეთ. 5) 22, 17-20 შედარე 1 კორ. 11, 20-25; 6) 24, 34 შედ. 1 კორ. 15, 15;



11) კოლ. 4, 13.  
1) თ. 1-2;

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე, 30 ნოემბერი 1908 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ლამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.